



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 5 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №7/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 15 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 05 მარტის №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 25 აპრილს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

-- -- განცხადებით, იმის გამო, რომ მის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხზე არ უზრუნია სასამართლოს და პროკურატურას, მიმართა -- -- სასამართლოს და მოპასუხეების --- --, --- და -- -- მიმართ მოითხოვა მიყენებული ზიანის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ზემოაღნიშნულ საქმეზე მოსამართლე --- 2018 წლის 21 დეკემბერს მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ --- 2018 წლის 27 აპრილს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოწინააღმდეგე მხარეების --- --, --- და --- მიმართ თანხის დაკისრების, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

2018 წლის 30 აპრილის განჩინებით მოსარჩელე --- შუამდგომლობები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ყადაღა დაედო --- საბანკო ანგარიშებს, სასარჩელო მოთხოვნის (დავის საგნის ღირებულების) -- ლარის ფარგლებში. ყადაღა დაედო ქ. --, -- ქუჩა №---ში მდებარე საწყობში მოპასუხეების --- და --- საკუთრებაში არსებულ ---. მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხეების --- და --- საბანკო ანგარიშების დაყადაღებაზე.

2018 წლის 16 მაისის განჩინებით --- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ყადაღა დაედო -- -- თანასაკუთრებაში არსებულ №-- და №-- საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონებების მის კუთვნილ

წილს; შუამდგომლობა №-- და №-- საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ქონებებზე ყადაღის დადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 13 ივნისს -- -- და -- -- შესაგებელი წარადგინეს სასამართლოში.

2018 წლის 18 ივნისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- სამმართველოს დაევალა სასამართლო გზავნილის (სარჩელისა და უზრუნველყოფის ღონისძიების განჩინებების) ჩაბარება -- --. 2018 წლის 27 ივნისის განჩინებებით -- -- და -- -- შესაგებელი -- -- სარჩელზე, დარჩა განუხილველი.

2018 წლის 13 ივლისის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 24 ივლისს. 24.07.2018; 01.11.2018; 26.11.2018; 14.12.2018; 21.12.2018 წწ პერიოდებში გაიმართა სასამართლო სხდომები. 2018 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე -- -- -- -- სასარგებლოდ დაეკისრა -- -- ლარის გადახდა; -- -- სარჩელი მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 16 იანვარს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 აპრილის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

ამდენად, მოსამართლე -- -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 აპრილის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2019 წლის 15 იანვრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2019 წლის 15 იანვრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --
-- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი